## ხელშეკრულება №144/14

## ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში VI ან/და IX კლასელთათვის ტესტირების ჩატარების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

2 ივნისი 2014წ.

### 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების საერთო პირობებში.
1.2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.2.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მოლაპარაკების შედეგად შერჩეულ პირს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული.
1.2.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის.
1.2.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში – „შემსყიდველი") – ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.2.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველთან მოლაპარაკების საფუძველზე, უწევს მომსახურებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.
1.2.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

### 2. ხელშეკრულების მხარეები

2.1. ერთის მხრივ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ზედა ეწერის საჯარო სკოლა, წარმოდგენილი დირექტორის მზია ახვლედიანის სახით (შემდგომში - "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (შემდგომში – "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მაია მიმინოშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში VI ან/და IX კლასელთათვის ტესტირების ჩატარების მიზნით, ტესტური დავალებების შემუშავება და გამოცდების ორგანიზება-ჩატარების მომსახურების (CPV-80200000) შესყიდვა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ ერთმანეთისთვის გაწეული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 16 იანვრის №55 განკარგულების შესაბამისად.

17.3. იმ შემთხვევაში, თუ ელექტროენერგიის ან/და სხვა რაიმე ტექნიკური პრობლემის არსებობის გამო ვერ ჩატარდება ტესტირება ამ ხელშეკრულების დანართით დადგენილ თარიღებში, ტესტირებისათბის დამატებითი დღე აღარ გამოიყოფა.

## 18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1. ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ შესრულებამდე მიმდინარე წლის 31 ივლისამდე.

## 19. განსაკუთრებული პირობები

19.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
19.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი ეგზემპლარი – „შემსყიდველთან".

## 20. მხარეთა რეკვიზიტები

**„შემსყიდველი":**
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ზედაეწერის საჯარო სკოლა
(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება)

მის:
ზუგდიდი სოფელი ზედაეწერი

ს/კ: 220373520

ბანკი: სს. [illegible] №37

ბ/კ: 220101502

ანგარიშის № 123660200

დირექტორი:

**„მიმწოდებელი":**

სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

ქ. თბილისი, მინდელის ქ. №9

ს/კ 202198727

ს.ს. „ბაზისბანკი"

ბ/კ CBASGE22

ანგარიში № GE92BS0000000000133531

დირექტორი:

მაია მიმინოშვილი

მ.